



სსიპ განათლების ხარისხის  
განვითარების ეროვნული  
ცენტრის დირექტორი

27/03/2026



MES 8 26 0000372706

### ბრძანება

#### სამეანო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს №1015087 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-15 პუნქტების საფუძველზე, ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2026 წლის 20 მარტის №337864 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სამეანო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.:ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

